



პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF)
„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს
მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის
გასაძლიერებლად“

გარემოსდაცვითი, სოციალური და
მმართველობის მოთხოვნები

მდგრადი დაფინანსება

დოქტორი დარიუმ პრასეკი

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

2024 წელი, 11 სექტემბერი

სემინარის ძირითადი ამოცანები

- ▶ მდგრადი დაფინანსების პრინციპებს მიმოხილვა
 - ზოგადი გლობალური ინფორმაცია, მონაცემები და ტენდენციები
 - ინიციატივები (პასუხისმგებლიანი ინვესტირების პრინციპები (PRI), UNEP FI „პასუხისმგებლიანი საბანკო საქმის პრინციპები“ და სხვა).
- ▶ ESG ინვესტირების აღიარებული სტრატეგიები, სტრატეგიების შეთავსება, ESG ფილტრები
 - როგორ უნდა მოხდეს ESG სტრატეგიების ინტეგრირება საინვესტიციო პოლიტიკასა და პროცესში.
 - კავშირი ESG-სა და ფინანსურ უკუგებას შორის.
 - გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მნიშვნელოვნება - მოთხოვნებთან შესაბამისობის გარდა.
- ▶ ევროკავშირის მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს მიმოხილვა
 - ევროკავშირის რეგულაცია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების წესების თაობაზე.
 - ევროკავშირის მდგრადი დაფინანსების ჩარჩო.
 - ევროკავშირის ტაქსონომია.
- ▶ ტიპური საფინანსო ინსტიტუტის მოთხოვნები კომპლექსური გარემოსდაცვითი შემოწმების (Due Diligence) და მონიტორინგის თაობაზე



მდგრადი დაფინანსების ძირითადი პრინციპი

- მდგრადი დაფინანსება გულისხმობს ფინანსური სექტორის მიერ ინვესტიციების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში **გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) საკითხების** გათვალისწინებას, რის შედეგადაც მდგრად ეკონომიკურ საქმიანობაში და პროექტებში მეტი გრძელვადიანი ინვესტიცია ხორციელდება.
 - **გარემოსდაცვითი საკითხები** შეიძლება მოიცავდეს კლიმატის ცვლილების შერბილებას და მასთან ადაპტაციას, ასევე გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების უფრო ფართო სპექტრს, როგორცაა, მაგ., ბიომრავალფეროვნების დაცვა, დაბინძურების თავიდან აცილება და ცირკულარული ეკონომიკა.
 - **სოციალური საკითხები** შეიძლება ეხებოდეს უთანასწორობის პრობლემატიკას, ჩართულობას, შრომით ურთიერთობებს, მოსახლეობაში, სათემო დასახლებებსა და მათ კვალიფიკაციაში ინვესტირებას, ადამიანის უფლებებს.
 - საჯარო და კერძო ინსტიტუტების **მმართველობა**, მათ შორის მართვის სტრუქტურები, შრომითი ურთიერთობები და აღმასრულებელი რგოლის ანაზღაურება, გადაწყვეტილების მიღებისას სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების მხედველობაში მიღებისათვის არსებითია.



მდგრადი დაფინანსება ევროკავშირის კონტექსტში

- ევროკავშირის პოლიტიკის კონტექსტში, მდგრად დაფინანსებაში მოიაზრება ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერი დაფინანსება, რომელიც, ერთი მხრივ, გარემოზე წნეხის შემცირებას უზრუნველყოფს, რაც ევროპული „მწვანე შეთანხმების“ კლიმატური და გარემოსდაცვითი ამოცანების მიღწევას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი - სოციალურ და მმართველობის ასპექტებს ითვალისწინებს.
- ამას გარდა, მდგრადი დაფინანსება ითვალისწინებს გამჭვირვალობას, როდესაც საქმე ფინანსურ სისტემაზე ზემოქმედების პოტენციალის მქონე ESG ფაქტორებთან დაკავშირებულ რისკებს ეხება და ასეთი რისკების შერბილებას ფინანსური და კორპორატიული სუბიექტების მიერ, შესაბამისი მმართველობით.
- მდგრად დაფინანსებას გადამწყვეტი როლი აქვს როგორც ევროპული „მწვანე შეთანხმების“ ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად, ასევე კლიმატის სფეროში და მდგრადობის მიზნებთან დაკავშირებით ევროკავშირის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისთვის. აღნიშნულის მისაღწევად კერძო ინვესტიციები, როგორც სახელმწიფო თანხების დამატება, კლიმატნიეტრალურ, კლიმატმედეგ, რესურსეფექტიან და სამართლიან ეკონომიკაზე გადასვლისაკენ მიიმართება.



რა არის გარდამავალი დაფინანსება?

- მდგრად დაფინანსებაში მოიაზრება როგორც უკვე ეკომეგობრული დაფინანსება (მწვანე დაფინანსება), ასევე ეკომეგობრულობის მზარდი მაჩვენებლების მქონე დაფინანსებაც (გარდამავალი დაფინანსება).
- გარდამავალი დაფინანსება არის კერძო ინვესტიციების დაფინანსება, რომლის მიზანია სათბურის აირების გაფრქვევების არსებული მაღალი დონის, ან გარემოზე სხვა სახის მნიშვნელოვანი ზემოქმედების შემცირება და კლიმატნიეტრალურ და მდგრად ეკონომიკაზე გადასვლა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ინვესტიცია მწვანე წარმოების მეთოდებში, ან ეკოლოგიური კვალის მინიმუმამდე შემცირებაში ისეთ შემთხვევებში, როდესაც მწვანე ტექნოლოგიები ჯერ კიდევ არ არსებობს.
- გარდამავალი დაფინანსება გადაუდებელია, რათა 2030 წლისათვის სათბურის აირების ემისიები 55%-ით შეიკვეცოს და გარემოზე ზემოქმედებაც შემცირდეს. იგი ხშირად ესაჭიროება მდგრადობის მოსურნე კომპანიებს, რისი მიღწევაც მათ ეტაპობრივად, გარკვეულ დროში შეუძლიათ - სხვა სიტყვებით რომ ითქვას, განსხვავებული ამოსავალი წერტილის მქონე კომპანიებს, რომლებსაც მდგრადი მომავლისაკენ თავიანთი სვლის დაფინანსება სურთ.



ევროკომისიის ექსპერტთა ჯგუფები მდგრადი დაფინანსების სფეროში

ევროკომისიის ექსპერტთა ჯგუფები მდგრადი დაფინანსების სფეროში:

- მდგრადი დაფინანსების პლატფორმა: პლატფორმა არის საკონსულტაციო ერთეული, რომელიც ევროკომისიის მიერ ექსპერტთა ჯგუფებისათვის დადგენილ ერთიან წესებს ექვემდებარება
- წვერი ქვეყნების ექსპერტთა ჯგუფები მდგრადი დაფინანსების სფეროში (MSEG): MSEG-ის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ევროკომისიის ექსპერტთა ჯგუფებისა და მსგავსი ერთეულების ევროკომისიის რეესტრში.
- მდგრადი დაფინანსების ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფი (TEG): ევროკომისიამ მდგრადი დაფინანსების ტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფი (TEG) ჩამოაყალიბა თავისი მდგრადი დაფინანსების საქმიანობის განვითარების მხარდასაჭერად, ევროკომისიის 2018 წლის მაისის კანონპროექტის შესაბამისად.
- უმაღლესი კვალიფიკაციის ექსპერტთა ჯგუფი მდგრადი დაფინანსების სფეროში (HLEG): უმაღლესი კვალიფიკაციის ექსპერტთა ჯგუფი მდგრადი დაფინანსების სფეროში (HLEG) ევროკომისიამ 2016 წლის დეკემბერში ჩამოაყალიბა.

პასუხისმგებლიანი ინვესტირება - ESG-სთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტორები

გარემოს დაცვა (E)	სოციალური (S)	მმართველობა (G)
ენერგოეფექტიანობა	დასაქმებულთა კომპენსაცია	მმართველობის დამოუკიდებლობა
ნახშირბადის გაფრქვევები	სარგებელი	დირექტორის საზღაური
სათბურის აირების გაფრქვევები	კადრების დენადობა	აქციონერების კენჭისყრა
ბიომრავალფეროვნება	დასაქმებულთა ჯანმრთელობა	დავების რისკები
წყალმოხმარება	უსაფრთხოების ზომები და სამიზნეები	ანტიკორუფციული/ ქრთამსაწინააღმდეგო პოლიტიკა
ბუნებრივი რესურსების მოხმარება	ტრენინგი	ქცევის კოდექსი
რეციკლირების პრაქტიკა	მრავალფეროვნება და სამიზნეები	გამჭვირვალების პოლიტიკა
ნარჩენების განთავსება	ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა	მომწოდებლების კოდექსი

გარემოსდაცვითი ქვაკუთხედის ინდიკატორები

- ემისიები & დაბინძურება (1) CO₂-ის გაფრქვევები (ტონა ერთ სულზე); (2) სათბურის აირების წმინდა გაფრქვევები/შემცირება მიწათსარგებლობის, მიწათსარგებლობის ცვლილებისა და სატყეო მეურნეობის (LULUCF) მეშვეობით (მგტ CO₂-ის ეკვივალენტი); (3) მეთანის გაფრქვევები (ტონა CO₂-ის ეკვივალენტი სულზე); (4) აზოტის ოქსიდების გაფრქვევები (ტონა CO₂-ის ეკვივალენტი სულზე); (5) ჰაერის დაბინძურება მტვრით (PM_{2.5}), საშუალო წლიური დოზა (მიკროგრამი კუბურ მეტრზე);
- ბუნებრივი კაპიტალის არსებობა და მართვა: (1) კორექტირებული დანაზოგი: ბუნებრივი რესურსების ამოწურვა (GNI-ის %); (2) კორექტირებული დანაზოგი: ტყის წმინდა დანაკარგი (GNI-ის %); (3) მტკნარი წყლის წლიური მოპოვება, სულ (შიდა რესურსების %); (4) ტყის ფართობი (მიწის ფართობის %); (5) ძუძუმწოვრების სახეობები, საფრთხის ქვეშ მყოფი; (6) ხმელეთისა და ზღვის დაცული ტერიტორიები (მთლიანი ტერიტორიის %);
- ენერგომოხმარება და უსაფრთხოება: (1) ელექტროენერჯის წარმოება ქვანახშირის წყაროებიდან (მთლიანის %); (2) ენერჯის იმპორტი, წმინდა (ენერგომოხმარების %); (3) პირველადი ენერჯის ენერგოტევადობის მაჩვენებელი (მგჯ/\$2011 მშპ (მუპ)); (4) ენერგომოხმარება (კგ ნავთობის ეკვივალენტი ერთ სულზე); (5) წიაღისეული საწვავის ენერჯის მოხმარება (მთლიანის %); (6) განახლებადი ელექტროენერჯის გამომუშავება (მთლიანი ელექტროენერჯის %); (7) განახლებადი ენერჯის მოხმარება (ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარების %);
- გარემო/კლიმატური რისკი და მედეგობა: (1) აციების გრადუს/დღეები (საპროგნოზო ცვლილება ცელსიუსის გრადუსებში); (2) გვალვები, წყალდიდობები, ექსტრემალური ტემპერატურები (მოსახლეობის %, 1990-2009 წწ-ის საშუალო); (3) სითბური ინდექსი 35 (საპროგნოზო ცვლილება დღეებში); (4) მაქსიმალური 5-დღიანი ნალექი, 25-წლიანი განმეორებადობის (საპროგნოზო ცვლილება მმ-ში); (5) გვალვის საშუალო მაჩვენებელი (საპროგნოზო ცვლილება, უგანზომილებო); (6) მოსახლეობის სიმჭიდროვე (სული მიწის ფართობის კვ.კმ-ზე)
- სასურსათო უსაფრთხოება: (1) სასოფლო-სამეურნეო მიწა (მიწის ფართობის %); (2) სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა, დამატებული ღირებულება (მშპ-ს %); (3) სურსათის წარმოების ინდექსი (2004-2006 = 100);

სოციალური ქვაკუთხედის ინდიკატორები

- განათლება და უნარები: (1) სახელმწიფო დანახარჯები განათლებაზე, სულ (სახელმწიფო დანახარჯების %); (2) წერა-კითხვის მაჩვენებელი, სულ ზრდასრულები (15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის %); (3) სასკოლო განათლებით მოცვა, დაწყებითით (მთლიანის %);
- დასაქმება: (1) დასაქმებული ბავშვები, სულ (7-14 წლის ბავშვების %); (2) სამუშაო ძალის დასაქმების მაჩვენებელი, სულ (15-64 წლის მოსახლეობის %) (ILO-ს შეფასებით); (3) უმუშევრობის მაჩვენებელი, სულ (მთლიანი სამუშაო ძალის %) (ILO-ს შეფასებით);
- დემოგრაფია: (1) ფერტილობის კოეფიციენტი, სულ (შობადობა ქალზე); (2) სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, მთლიანი (წლები); (3) 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა (მთლიანი მოსახლეობის %);
- სიღარიბე და უთანასწორობა: (1) მოხმარების ან შემოსავლის ზრდის რეალური საშუალო წლიური მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე, მთლიანი მოსახლეობა (%); (2) ჯინის ინდექსი (მსოფლიო ბანკის შეფასება); (3) უღარიბესი 20%-ის შემოსავლის წილი; (4) ქვეყნის მიერ დადგენილ სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის თანაფარდობა (მოსახლეობის %);
- ჯანმრთელობა და კვება: (1) გარდაცვალების მიზეზი, გადამდები დაავადებების გამო, დედის, პრენატალური და კვების პირობების გამო (მთლიანის %); (2) საავადმყოფო საწოლი (1,000 მოსახლეზე); (3) სიკვდილიანობის მაჩვენებელი 5 წლამდე ასაკში (1,000 ცოცხლად დაბადებულზე); (4) ჭარბწონიანობის გავრცელებულობა (ზრდასრული მოსახლეობის %); (5) კვების უკმარისობის გავრცელებულობა (მოსახლეობის %);
- სერვისებზე წვდომა: (1) წვდომა სუფთა საწვავზე და სამზარეულო ტექნოლოგიებზე (მოსახლეობის %); (2) ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა (მოსახლეობის %); (3) უსაფრთხო სასმელ წყალზე წვდომის (მოსახლეობის %); (4) უსაფრთხო სანიტარიულ სერვისებზე წვდომის მქონე მოსახლეობა (მოსახლეობის %);

მმართველობის ქვაკუთხედის ინდიკატორები

- ადამიანის უფლებები: (1) სამართლებრივი უფლებების უზენაესობის მაჩვენებელი (0 = დაბალი, 12 = მაღალი); (2) ხმის უფლება და ანგარიშვალდებულება (შეფასებითი);
- მთავრობის ეფექტიანობა: (1) მთავრობის ეფექტიანობა (შეფასებითი); (2) რეგულირების ხარისხი (შეფასებითი);
- სტაბილურობა და კანონის უზენაესობა: (1) კორუფციის კონტროლი (შეფასებითი); (2) წმინდა მიგრაცია; (3) პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის არარსებობა (შეფასებითი); (4) კანონის უზენაესობა (შეფასებითი)
- ეკონომიკური გარემო: (1) ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი (1 = ყველაზე ბიზნესმეგობრული რეგულაციები); (2) მშპ-ს ზრდა (წლიური %); (3) ინტერნეტით მოსარგებლე პირები (მოსახლეობის %);
- გენდერი: (1) ეროვნულ პარლამენტებში ქალების მიერ დაკავებული ადგილების თანაფარდობა (%); (2) სამუშაო ძალაში ქალისა და მამაკაცის მონაწილეობის თანაფარდობა (%) (ILO-ს შეფასებით); (3) სასკოლო განათლებით მოცვა, დაწყებითით და საშუალოთი (ჯამური), გენდერული თანასწორობის ინდექსი (გთი); (4) კონტრაცეფციის საჭიროების დაუკმაყოფილებლობა (15-49 წლის დაქორწინებული ქალების %);
- ინოვაცია: (1) საპატენტო განაცხადები, რეზიდენტების მიერ; (2) კვლევისა და განვითარების ხარჯები (მშპ-ის %); (3) სამეცნიერო და ტექნიკური ჟურნალების სტატიები;

პასუხისმგებლიანი ინვესტირება – ESG ინვესტირების სტრატეგიები

სტრატეგია	განმარტება
უარყოფითი	გამომრიცხავი გაცხრილვა: გარკვეული დარგების გამორიცხვა ინვესტორის პორტფელებიდან კონკრეტული ESG კრიტერიუმების საფუძველზე.
დადებითი	კატეგორიაში საუკეთესოს შერჩევა: ინვესტირება დარგებში, კომპანიებში ან პროექტებში, რომლებიც დარგობრივ ანალოგებთან შედარებით სასურველი ESG მაჩვენებლების გამო შეირჩა.
შერჩევა ნორმების საფუძველზე	ინვესტიციების შერჩევა ბიზნესსაქმიანობის მინიმალური სტანდარტების მიხედვით, რომლებიც საერთაშორისო ნორმებს ეფუძნება.
ESG ფაქტორების ინტეგრირება	ინვესტიციების მენეჯერების მიერ ფინანსურ ანალიზში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ფაქტორების მეთოდურად და ცხადად ჩართვა.
მდგრადობის თემატიკის ინვესტიცია	ინვესტიცია უშუალოდ მდგრადობასთან დაკავშირებულ სფეროებში ან აქტივებში (მაგ., სუფთა ენერჯეტიკა, მწვანე ტექნოლოგია, ან მდგრადი სოფლის მეურნეობა).
შედეგზე ორიენტირებული ინვესტირება	მიზნობრივი ინვესტიციები, ჩვეულებრივ კერძო ბაზრებზე განხორციელებული, რომელთა მიზანია სოციალური ან გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა და რომლებიც მოიცავს სათემო ინვესტიციებს, სადაც კაპიტალი სპეციალურად ტრადიციულად არაუზრუნველყოფილი ინდივიდებზე ან თემებზე მიიმართება, ასევე დაფინანსება, რომელიც ბიზნესებს მკაფიოდ სოციალური ან გარემოსდაცვითი მიზნისთვის ეძლევა.
კორპორატიული ჩართულობა და აქციონერთა გადაწყვეტილებები	აქციონერთა უფლებამოსილების გამოყენება კორპორატიულ ქცევაზე ზეგავლენისათვის, მათ შორის პირდაპირი კორპორატიული ჩართულობით (მაგ., კომპანიის ზედა მმართველობით რგოლთან და/ან დირექტორთა საბჭოსთან კომუნიკაციით), აქციონერთა წინადადებების ინდივიდუალურად ან ერთობლივად წარდგენით და წარმომადგენლის მეშვეობით ხმის მიცემით, რომელიც კომპლექსური ESG სახელმძღვანელო პრინციპებით ხელმძღვანელობს.

პასუხისმგებლიანი ინვესტირების პრინციპები (PRI)




რა არის PRI?

- ▶ PRI წარმოადგენს მსოფლიოს მთავარ მეგზურს პასუხისმგებლიანი ინვესტირების სფეროში. იგი ემსახურება:
 - ინვესტიციებზე გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) ფაქტორების ზემოქმედების შედეგების გამოვლენას;
 - ხელმომწერ ინვესტორთა საერთაშორისო ქსელის მხარდაჭერას ინვესტიციებისა და წილობრივი მონაწილეობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებაში.
- ▶ PRI ითვალისწინებს გრძელვადიან ინტერესებს:
 - მისი ხელმომწერების;
 - ფინანსური ბაზრების და ქვეყნების, სადაც ისინი ფუნქციონირებს;
 - საბოლოო ჯამში კი გარემოსა და მთლიანად საზოგადოების.



PRI-ის ექვსი პრინციპი


- 1** საინვესტიციო ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ESG საკითხებს გავითვალისწინებთ
- 2** აქტიური მესაკუთრეები ვიქნებით და საკუთრების თაობაზე ჩვენს პოლიტიკასა და საქმიანობაში ESG საკითხებს გავითვალისწინებთ.
- 3** შევეცდებით, რომ საწარმოებმა, სადაც ინვესტიციებს ვახორციელებთ, ESG საკითხებზე ინფორმაცია სათანადოდ გაასაჯაროონ.
- 4** ჩვენ ხელს შევუწყობთ, რომ ეს პრინციპები ინვესტიციების სფეროში დაინერგოს და შესრულდეს
- 5** ამ პრინციპების განხორციელების ეფექტიანობის გასაზრდელად ერთად ვიმუშავებთ.
- 6** თითოეული ჩვენგანი განახორციელებს ანგარიშგებას ჩვენი საქმიანობისა და ამ პრინციპების განხორციელებაში მიღწეული წინსვლის თაობაზე.



PRI-ის ღირებულების განმსაზღვრელი ფაქტორების მოდელი პასუხისმგებლიანი ინვესტირებისათვის

ამოქმედებული კაპიტალის რენტაბელობა

(ანუ წმინდა ღირებულება,
საბირჟო ფასი, ეკონომიკური
დამატებული ღირებულება)



ზრდა

ახალი ბაზრები და ტერიტორიები
ახალი მომხმარებლები და საბაზრო წილი
საქონლისა და მომსახურების განახლება
გრძელვადიანი სტრატეგია

მწარმოებლურობა

ეფექტიანი ოპერირება
ადამიანური რესურსების მართვა
რეპუტაციის გავლენა ფასზე

რისკების მართვა

საოპერაციო და სამართლებრივი რისკები
რეპუტაციული რისკი
მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული რისკი
ხელმძღვანელობა და შემგუებლობა

პასუხისმგებლიანი ინვესტირება - ESG ინვესტირების ფორმულა

ESG-ის ეტაპები, რომლებიც უნდა დაინერგოს

1. საფუძვლიანი ფინანსური ანალიზის სტრატეგია.
2. პასუხისმგებლიანი ინვესტირების (ESG) პოლიტიკის/ სტრატეგიის შემუშავება.
3. კომპლექსური გარემოსდაცვითი და სოციალური შემოწმება (Due Diligence), მაგ., EBRD-ის სტანდარტების შესაბამისად:
 - ინვესტიციების კატეგორიზაცია (მაღალი/საშუალო/დაბალი E&S რისკი).
 - გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გამოვლენა და შემარბილებელი ღონისძიებები.
 - სამიზნე კომპანიის ESG მონაცემების შედარება კერძო საინვესტიციო ფონდის ESG პოლიტიკასთან.
 - სამიზნე კომპანიის შესახებ შიდა ESG ანგარიშის მომზადება.
 - გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) საჭიროების შემთხვევაში.
 - გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების და ESAP-ის შეტანა იურიდიულ ხელშეკრულებებში.
4. მიმდინარე მონიტორინგი, წლიური ანგარიშგება, დიალოგი და მუდმივი გაუმჯობესება ინვესტიციის სასიცოცხლო ვადებში.

ESG ფილტრები, რომელთა გამოყენებაც უნდა მოხდეს

- ▶ 1-ლი ფილტრი: ზოგადი სტანდარტული ESG პოლიტიკა და სტრატეგია.
- ▶ მე-2 ფილტრი: ESG საზომების გათვალისწინება. ინდიკატორული ESG წონები: E:X%, S:X%, G:X%.
- ▶ მე-3 ფილტრი: უარყოფითი გაცხრილვა EBRD-ის გამონაკლისების ნუსხა (გამორიცხული დარგები).
- ▶ მე-4 ფილტრი: დადებითი გაცხრილვა (უპირატესი დარგების / თემატიკის შერჩევა).
- ▶ მე-5 ფილტრი: შერჩევა ნორმების საფუძველზე.
- ▶ შექმნილია კერძო კაპიტალის პორტფელი, რომელიც შესაბამისობაშია ESG-სთან.
- ▶ კერძო საინვესტიციო ფონდი, როგორც მოქმედი ESG ინვესტორი.

მდგრადი დაფინანსება ევროკავშირში



ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩო

ევროკავშირის მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს მიმოხილვა:

- ევროკავშირის რეგულაცია მდგრადი ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების წესების თაობაზე.
- ევროკავშირის ტაქსონომია.
- ევროკავშირის „მწვანე ობლიგაციების სტანდარტები“.
- ევროკავშირის სამიზნე ორიენტირები კლიმატის სფეროში.
- კლიმატთან დაკავშირებული ანგარიშგება.



A global approach to
**sustainable
finance**

#SustainableFinanceEU



მდგრადი დაფინანსება ევროკავშირში

ec.europa.eu

ევროკავშირის ფინანსური დარგის გენგეგმა

EU მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს დოკუმენტაცია (ჯამში 633 გვერდი):

1. ევროკავშირის კლასიფიკაციის სისტემა – ე.წ. **ევროკავშირის ტაქსონომია** – რათა განისაზღვროს, ეკონომიკური საქმიანობა ეკოლოგიურად მდგრადი თუ არის (414 გვერდი + 25 გვერდიანი დამატებითი ანგარიში).
2. ევროკავშირის „მწვანე ობლიგაციების სტანდარტი“ (78 გვერდი).
3. მეთოდოლოგიები კლიმატის სფეროში ევროკავშირის **სამიზნე ორიენტირებისთვის** და სამიზნე ორიენტირების გასაჯაროება (66 გვერდი).
4. კლიმატთან დაკავშირებული **კორპორაციული ინფორმაციის გასაჯაროების წესის** გაუმჯობესების სახელმძღვანელო (50 გვერდი), რომელიც მოიცავს არაფინანსური ანგარიშგების (NFR) დირექტივასთან და კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის მაუწყებელი ანალიტიკური ჯგუფთან (TCFD) თანხვედრის საკითხებს.

EU TECHNICAL EXPERT GROUP ON SUSTAINABLE FINANCE



Taxonomy Technical Report

June 2019

EU TECHNICAL EXPERT GROUP ON SUSTAINABLE FINANCE



Supplementary Report 2019

EU TECHNICAL EXPERT GROUP ON SUSTAINABLE FINANCE



TEG REPORT
PROPOSAL FOR AN EU GREEN BOND STANDARD
June 2019

EU TECHNICAL EXPERT GROUP ON SUSTAINABLE FINANCE



TEG INTERIM REPORT



EU TECHNICAL EXPERT GROUP ON SUSTAINABLE FINANCE




Report on Climate-related Disclosures

ევროკავშირის მდგრადი დაფინანსების სტრატეგია

ბოლო წლებში ევროკავშირი მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს აყალიბებს, რათა:

-  დაეხმაროს კერძო ფინანსების შედინებას მდგრად ეკონომიკურ საქმიანობაში
-  2050 წლისათვის შესაძლებელი გახდეს ნახშირბადნეიტრალურ ეკონომიკაზე გადასვლა

2018: ევროკავშირმა მდგრად დაფინანსებას ჩაუყარა საფუძველი



ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ახალი ქმედებები

- ▶ კაპიტალის საკადების გადამისამართება მდგრადი ინვესტიციებისაკენ, რათა მიღწეული იქნას მდგრადი და დაბალანსებული განვითარება:
 1. მდგრადი საქმიანობის კლასიფიკაციის სისტემის შემოღება ევროკავშირში
 2. მწვანე ფინანსური პროდუქტების სტანდარტებისა და ნიშანდების შემუშავება
 3. მდგრად პროექტებში ინვესტიციების წახალისება
 4. მდგრადობის საკითხების გათვალისწინება ინვესტიციის თაობაზე რეკომენდაციების მიწოდებისას
 5. მდგრადობის სამიზნე ორიენტირების შემუშავება
- ▶ მდგრადობის საკითხების გათვალისწინება რისკის მართვაში
 6. მდგრადობის საკითხების უკეთ გათვალისწინება რეიტინგებსა და კვლევებში
 7. საინვესტიციო ორგანიზაციებისა და აქტივების მმართველების მოვალეობების დაზუსტება
 8. მდგრადობის საკითხების შეტანა პრუდენციულ მოთხოვნებში
- ▶ გამჭირვალეობისა და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულობის წახალისება ფინანსურ და ეკონომიკური საქმიანობაში
 9. მდგრადობის საკითხებზე ინფორმაციის გასაჯაროებისა და საბუღალტრო

ევროკავშირის „მდგრადი დაფინანსების სამოქმედო გეგმა“: მიმოხილვა

ძირითადი ძვრები (მდგრადი ფინანსები)

- 2018: ევროკომისიის [სამოქმედო გეგმა მდგრადი განვითარების დაფინანსებისთვის](#)
- 2021: [გარდაქმნის დაფინანსების სტრატეგია*](#)



ძირითადი ძვრები (კლიმატის კანონმდებლობა)

- 2019: [ევროპული „მწვანე შეთანხმება“](#).
 - 2021წ., 14 ივლისი: პაკეტი „55-ისთვის შემზადება“.
- ევროკავშირის კლიმატნიეტრალიზაციის მიზნები.

2018 წლის გეგმა სამი მიმართულებისათვის ათ ამოცანას განსაზღვრავს:

მაკრომიმართულებები	ამოცანები	ევროკავშირის ინიციატივები
კაპიტალის ნაკადების მდგრადი ინვესტიციებისაკენ გადამისამართება	1. მდგრადი საქმიანობის კლასიფიკაციის სისტემის შემოღება ევროკავშირისთვის	ტაქსონომიის რეგულაცია და ტაქსონომიის დელეგირებული რეგულაციები (კლიმატის ცვლილების შერბილება და მასთან ადაპტაცია)
	2. მწვანე ფინანსური პროდუქტების სტანდარტებისა და მარკირების შემუშავება	ევროკავშირის „მწვანე ობლიგაციების სტანდარტი“
	3. მდგრად პროექტებში ინვესტიციების წახალისება	
	4. მდგრადობის საკითხების გათვალისწინება საინვესტიციო რეკომენდაციების მიწოდებისას	წესები მდგრადობის პრეფერენციებისა და საინვესტიციო რეკომენდაციების შესახებ (MIFID II)
	5. მდგრადობის სამიზნე ორიენტირების შემუშავება	ევროკავშირის „კლიმატური გადასვლისა“ და „პარიზთან შეთანხმებული“ სამიზნე ორიენტირები
მდგრადობის საკითხების გათვალისწინება რისკის მართვაში	6. მდგრადობის საკითხების უკეთ ინტეგრირება რეიტინგებსა და კვლევებში	
	7. საინვესტიციო ორგანიზაციებისა და აქტივების მმართველების მოვალეობების დაზუსტება	მდგრადი დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების რეგულაცია (SFDR)
	8. მდგრადობის საკითხების შეტანა პრუდენციულ მოთხოვნებში	
გამჭირვალეობისა და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულობის წახალისება ფინანსურ და ეკონომიკური საქმიანობაში	9. მდგრადობის საკითხებზე ინფორმაციის გასაჯაროებისა და საბუღალტრო აღრიცხვის წესების შემუშავების პროცესის გაძლიერება	ტაქსონომიის რეგულაცია, რეგულაცია ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის შესახებ (CSDR)
	10. მდგრადი კორპორატიული მმართველობის წახალისება და საფონდო ბაზრების მოკლევადიან შედეგებზე ორიენტირებულობის შემცირება	CSDD

ევროკავშირის ტექსტონომია



ევროკავშირის ტაქსონომია

6 გარემოსდაცვითი ამოცანები	მოთხოვნა შესაბამისობა ტაქსონომიასთან...	
 კლიმატის ცვლილების შერბილება	ტაქსონომიით დასაშვები	ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც 6 გარემოსდაცვითი ამოცანიდან ერთ-ერთისათვის შერჩევის ტექნიკურ კრიტერიუმს წარმოადგენს
 კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია	მნიშვნელოვანი წვლილის მქონე	ეკონომიკური საქმიანობა აკმაყოფილებს ტექნიკური შერჩევის კრიტერიუმებით მნიშვნელოვანი წვლილისათვის დადგენილ ზღვარს
 წყლისა და ზღვის რესურსები	არ იწვევს მნიშვნელოვან ზიანს	ეკონომიკური საქმიანობა დანარჩენი 5 გარემოსდაცვით ამოცანის კუთხით მნიშვნელოვან ზიანს არ მოიტანს
 გადამუშავება და ნარჩენების მართვა	ტაქსონომიით დასაშვები	არ არღვევს OECD-ის საერთაშორისო სახელმძღვანელო მითითებებით განსაზღვრულ სოციალურ მოთხოვნებს
 დაბინძურების თავიდან აცილება და მართვა	 ბიომრავალფეროვნება	

მდგრადი საქმიანობის კლასიფიკაციის (ტაქსონომიის) სისტემის შემოღება ევროკავშირში

- ▶ ევროკავშირის ტაქსონომია არის ინსტრუმენტი, რომელიც ინვესტორებს ეხმარება გააცნობიერონ, არის თუ არა ეკონომიკური საქმიანობა ეკოლოგიურად მდგრადი და გეზი დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლისაკენ აიღონ. განსაზღვრავს რა საერთო ენას ინვესტორებისათვის, ემიტენტებისათვის, პროექტების განმახორციელებლებისა და პოლიტიკის შემქმნელებისათვის, იგი ინვესტორებს ეხმარება შეაფასონ, ინვესტიციები თუ აკმაყოფილებს სრულფასოვან გარემოსდაცვით სტანდარტებს და შესაბამისობაში თუ არის ზემდგომი პოლიტიკის ვალდებულებებთან, როგორცაა პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ.
- ▶ ტაქსონომიის რეგულაცია ძალაში 2020 წლის 12 ივლისს შევიდა. დელეგირებული აქტი ადგენს შერჩევის ტექნიკური კრიტერიუმების ჩამონათვალს პირველი ორი ამოცანისათვის:
 - კლიმატის ცვლილების შერბილება
 - კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია
- ▶ 2020 წლის ოქტომბრიდან მდგრადი დაფინანსების პლატფორმის ტექნიკური სამუშაო ჯგუფი დანარჩენი 4 გარემოსდაცვითი ამოცანის ტექნიკურ კრიტერიუმებზე მუშაობს. პლატფორმის მუშაობის შედეგები კონსულტაციისთვის 2021 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა და მათი ოფიციალურად მიღება ნავარაუდევია იყო 2022 წელს, დელეგირებული აქტის მეშვეობით.
- ▶ 2022 წლის 2 თებერვალს კომისიამ ზოგადი წესით დაამტკიცა "დამატებითი დელეგირებული აქტი კლიმატის თაობაზე", რომლითაც სპეციფიკური ბირთვული და აირენერგეტიკული საქმიანობა ევროკავშირის ტაქსონომიით მოცული ეკონომიკური საქმიანობის ჩამონათვალში მკაცრი პირობებით შევიდა.


ევროკავშირის ტაქსონომია - მინიმალური სოციალური სტანდარტები

ტაქსონომიის კანონპროექტის 3(c) მუხლში ნახსენები მინიმალური სტანდარტები მოიცავს პროცედურებს, რომელთაც ეკონომიკური სუბიექტი „შრომის ფუნდამენტური უფლებებისა და პრინციპების შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციის რვა ფუნდამენტური კონვენციით განსაზღვრული პრინციპებისა და უფლებების უზრუნველსაყოფად უნდა ახორციელებდეს.

1998 წელს მიღებული ეს დეკლარაცია წევრ ქვეყნებს ავალდებულებს, დაიცვან და ხელი შეუწყონ პრინციპებსა და უფლებებს ოთხი მიმართულებით მიუხედავად იმისა, შესაბამისი კონვენციები მათ რატიფიცირებული აქვთ თუ არა.

ეს კატეგორიებია: პროფკავშირებში გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების ფაქტიური აღიარება, იძულებითი ან სავალდებულო შრომის აღმოფხვრა, ბავშვთა შრომის აკრძალვა, დისკრიმინაციის აღმოფხვრა დასაქმების დროს და სამუშაო ადგილზე.

https://finance.ec.europa.eu/system/files/2022-10/221011-sustainable-finance-platform-finance-report-minimum-safeguards_en.pdf



ინვესტორები ტაქსონომიას 5 ეტაპად როგორ გამოიყენებენ

1	განსაზღვრავენ, კომპანიის ან ემიტენტის მიერ განხორციელებული, ან ფინანსური პროდუქტით მოცული საქმიანობის სახეებიდან (მაგ., პროექტები, შემოსავლის გამოყენება) რომელი შეიძლება იყოს დასაშვები.
2	თითოეული საქმიანობის შემთხვევაში შეაფასებენ, კომპანია ან ემიტენტი მნიშვნელოვანი წვლილის განმსაზღვრელ სათანადო კრიტერიუმებს თუ აკმაყოფილებს, მაგ., ელექტროენერჯის გამომუშავება <math><100\text{gCO}_2/\text{კვტსთ}</math>.
3	გადაამოწმებენ, რომ მომხმარებელი DNSH კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს. ინვესტორები, რომლებიც ტაქსონომიას იყენებენ, საბაზო საინვესტიციო ობიექტების მაჩვენებლების გასაანალიზებლად, დიდი ალბათობით, კომპლექსური შეფასების მსგავს პროცესს გამოიყენებენ.
4	განახორციელებენ კომპლექსურ შეფასებას, რათა თავიდან აიცილონ ტაქსონომიის რეგულაციით (მუხლი 13) განსაზღვრული მინიმალური სოციალური მოთხოვნების რაიმე სახის დარღვევა.
5	გაიანგარიშებენ ინვესტიციების შესაბამისობას ტაქსონომიასთან და მოამზადებენ საინვესტიციო პროდუქტის შესახებ გამოსაქვეყნებელ ინფორმაციას.

მნიშვნელოვანი წვლილი კლიმატის ცვლილების შერბილებაში

საქმიანობის სახე	შერჩევის ტექნიკური კრიტერიუმები	მაგალითები
1) უკვე დაბალნახშირბადიანი საქმიანობა. უკვე თავსებადია 2050 წ. სამიზნე უნახშირბადო ეკონომიკასთან.	სავარაუდოდ, სტაბილური და გრძელვადიანია	<ul style="list-style-type: none"> • უემისიო ტრანსპორტი • თითქმის უნახშირბადო ელექტროენერჯის გამომუშავება • გატყინება
2) საქმიანობა, რომელსაც 2050 წ-თვის ჯამურად უემისიო ეკონომიკაზე გადასვლაში შეაქვს წვლილი, თუმცა ამჟამად ასეთი მაჩვენებლები არ გააჩნია.	სავარაუდოდ ექვემდებარება რეგულარულ განახლებას, რაც ნულოვან ემისიებამდე მიიყვანს	<ul style="list-style-type: none"> • შენობების განახლება • ელექტროენერჯის გამომუშავება <100გCO₂/კვტსთ • ავტომობილები <50გCO₂/კმ
3) საქმიანობა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილის მიღწევის საშუალებას იძლევა.	სავარაუდოდ, სტაბილური და გრძელვადიანია (თუ ხელშემწყობი საქმიანობა უკვე დაბალნახშირბადიანია), ან ექვემდებარება რეგულარულ განახლებას, რაც ნულოვან ემისიამდე მიიყვანს (თუ გადასვლაში წვლილის შემტან ხელშემწყობ საქმიანობას ასეთი მაჩვენებლები ჯერ არ აქვს).	<ul style="list-style-type: none"> • ქარის ტურბინების წარმოება • მაღალი მქკ-ს მქონე ქვაბების დამონტაჟება შენობებში

უემისიო ეკონომიკაზე გადასასვლელად ევროკავშირმა უნდა განავითაროს დაბალნახშირბადიანი სექტორი, წახალისოს სეკვესტრირება, მოახდინოს არსებული მრეწველობის დეკარბონიზაცია და თავი აარიდოს კლიმატის ცვლილების შერბილებასთან არათავსებადი საქმიანობის ხელშეწყობას.

ტაქსონომიაში აღნიშნული იმით აისახება, რომ გათვალისწინებული იქნება კლიმატის ცვლილების შერბილებაში მნიშვნელოვანი წვლილის მქონე სამი ტიპის საქმიანობა.

ტაქსონომია არ შეიცავს ისეთი საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლებს, რომლებიც არსებითად კლიმატის ცვლილების შერბილების ამოცანებზე უარყოფით გავლენას ახდენს, როგორცაა თბოელექტროგენერაცია ქვანახშირით. ამგვარი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდამ შესაძლოა მოკლევადიანი სარგებელი მოგვცეს, თუმცა ისინი ტაქსონომიის მიზნებთან არათავსებადია.

ევროკავშირის ტაქსონომიის კომპასი

ევროკავშირის ტაქსონომიის კომპასის მიზანია მომხმარებელთა ფართო სპექტრს ევროკავშირის ტაქსონომიის შინაარსზე წვდომა გაუმარტივოს. იგი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეამოწმონ, ევროკავშირის ტაქსონომია რომელ საქმიანობას მოიცავს (ტაქსონომიით მოცული საქმიანობა), რომელ ამოცანებში შეაქვს მას არსებითი წვლილი და რომელ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური საქმიანობა მინიმალურ სტანდარტებს (სოციალურ სტანდარტებს) უნდა აკმაყოფილებდეს, რომ იგი ტაქსონომიასთან შესაბამისობაში მყოფად მიიჩნეოდეს.



ბმული: <https://ec.europa.eu/sustainable-finance-taxonomy/>

ევროკავშირის მწვანე ობლიგაციების სტანდარტები



რა არის მწვანე ობლიგაცია

- ▶ მწვანე ობლიგაცია არის ფიქსირებულ შემოსავლიანი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გარემოზე და/ან კლიმატზე დადებითი ზემოქმედების მქონე პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება.
- ▶ მწვანე ობლიგაციები არსებითად იგივეა, რაც ტრადიციული ობლიგაციები: ინვესტორის მიერ ორგანიზაციისთვის პროექტის დასაფინანსებლად მიცემული სესხი, როდესაც სესხის ვადის ბოლოს ინვესტორი, სესხის პერიოდში გადახდილ პროცენტთან ერთად (რომელიც სესხის პირობებზეა დამოკიდებული), ძირ თანხასაც იღებს.
- ▶ მწვანე ობლიგაციებისთვის კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) სტანდარტები გამოიყენება.
- ▶ მწვანე ობლიგაციების პრინციპების (GBP) მიზანია ემიტენტების მხარდაჭერა გარემოსთვის უსაფრთხო და მდგრადი პროექტების დაფინანსებაში, რომლებიც ხელს უწყობს ჯამურად უემისიო ეკონომიკას და იცავს გარემოს. GBP-ზე ორიენტირებული ფასიანი ქაღალდების გამოშვების დროს, საინვესტიციო შესაძლებლობებთან ერთად, გამჭვირვალე მწვანე მანდატის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს. აძლევს რა ემიტენტებს მწვანე ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლის გამოყენების თაობაზე ანგარიშგების რეკომენდაციას, GBP ხელს უწყობს გამჭვირვალობის ეტაპობრივ ცვლილებას, რაც გარემოსდაცვით პროექტებში ჩადებული თანხების თვალთვალს ამარტივებს და, ამავედროულად, მათი სავარაუდო შედეგების უკეთ გააზრებას ემსახურება.



The
Green Bond
Principles

ევროკავშირის მწვანე ობლიგაციების სტანდარტები

- ▶ მწვანე ფინანსური პროდუქტების სტანდარტებისა (ევროკავშირის „მწვანე ობლიგაციების სტანდარტი“) და ნიშანდების შემუშავება

მწვანე ფინანსური პროდუქტების სფეროში არსებული უწყესრიგობა და „მწვანედ წარმოჩენა“ ბაზრის მიმართ ნდობას ამცირებს და კაპიტალს გადაამისამართებს საქმიანობიდან, რომელსაც მდგრადი შედეგების მოტანა შეუძლია. მწვანე ფინანსური პროდუქტების, როგორცაა მწვანე ობლიგაციები, სტანდარტებისა და ნიშანდების შემუშავება ინვესტორების ნდობას გაზრდის და ამ პროდუქტებისკენ მეტი კაპიტალის მოზიდვას წახალისებს.

- ▶ 2021 წლის 6 ივლისს ევროკავშირმა განსახილველად გამოიტანა ახალი რეგულაცია, რომელიც ევროკავშირის მწვანე ობლიგაციების სტანდარტის (EuGBS) შემუშავებას ითვალისწინებს.

Overview of the proposed EU Green Bond Standard

Core components



გასათვალისწინებელი საკითხები:

გამოყენებულია ICMA-ს მწვანე ობლიგაციებისა და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების პრინციპები. ისინი ტექსონომიას არ ეფუძნება.

კითხვა. ICMA იგივე იქნება, რაც ევროკავშირის მწვანე ობლიგაცია?

მწვანე და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციები

ვნახავთ, რომ პროექტების დასაფინანსებლად კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენება სულ უფრო გაიზრდება. ასეთ პროექტებს მკაფიოდ განსაზღვრული ეფექტიანობის საკვანძო ინდიკატორები (KPI) უნდა გააჩნდეს, რათა დადგინდეს, რომელია მწვანე:

- ▶ მწვანე ობლიგაციები – ICMA-ს მითითებების გათვალისწინება ევროკავშირის მომავალ „მწვანე ობლიგაციების კრიტერიუმებში“ (ანუ ტაქსონომიაში). „კლიმატური ობლიგაციების ინიციატივის“ ფარგლებში არსებული და ახალი საწარმოებისათვის მწვანე ობლიგაციების განსაზღვრების თაობაზე მეთოდური მითითებების შემუშავება მიმდინარეობს (ძირითადად სათბურის აირების გაფრქვევების მიმართულებით).
 - რეალური სამიზნე მაჩვენებლებისა და „მწვანე“-ს კრიტერიუმების განსაზღვრა არსებითი იქნება
 - მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციები - განსაზღვრება, ან ეფექტიანობის საკვანძო ინდიკატორების დადგენა და გადამოწმება.
- ▶ საჭიროა კარგი რეკომენდაციები და მეორე მხარის მოსაზრებები (SPO). „მწვანეს“ განმარტება და რეალისტური სამიზნე მაჩვენებლების დადგენა საკვანძო იქნება მეტალურგიის შემთხვევაში.
- ▶ ობლიგაციების თაობაზე წლიური ანგარიშგება იქნება საჭირო, როგორც შიდა, ასევე გარე.
- ▶ კაპიტალის ბაზრებისა და მწვანე ინსტრუმენტების, როგორცაა მწვანე ობლიგაციები და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციები, გამოყენება გაიზრდება.
- ▶ ICMA-ს პრინციპები და სტანდარტები საკვანძოა <https://www.icmagroup.org/sustainable-finance/>



მდგრადი დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების რეგულაციები



მდგრადი დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების რეგულაცია (SFDR): მიმოხილვა

მიზანი:

- ▶ გამჭვირვალობის გაზრდა იმის თაობაზე, საინვესტიციო ინსტიტუტები და ფინანსური მრჩეველები გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საქმიანობაში გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის (ESG) ფაქტორებს როგორ ითვალისწინებენ.
- ▶ „მდგრადი“ ინვესტირების ვარიანტების თანაზომადობის გაზრდა.
- ▶ კომპანიებისთვის რეკომენდაციის მიცემა, რომ თავიანთი ბიზნესის მუშაობის მეთოდების შიდა სტრატეგიული ცვლილებები განიხილონ და განახორციელონ ვიდრე SFDR-ის მოთხოვნა გასაჯაროების თაობაზე სავალდებულო გახდება.

- სამი ახალი კონცეფციის შემოღება, როგორცაა „მდგრადი ინვესტირება“, „მდგრადობის რისკი“ და „მდგრადობის ფაქტორები“
- განხორციელებისადმი ეტაპობრივი მიდგომა და ორდონიანი მოთხოვნები:
 - 1-ლი დონის მოთხოვნები (2021წ. მარტი): გასაჯაროების ზოგადი თანაზომიერი მოთხოვნები
 - მე-2 დონის მოთხოვნები (2023წ. 1 იანვარი): ტექნიკური მარეგულირებელი სტანდარტები (RTS), რომლებიც აზუსტებს SFDR-ით გათვალისწინებული ინფორმაციის შინაარსს, მეთოდოლოგიასა და წარმოდგენის ფორმას
- მეწარმე სუბიექტისა და პროდუქტის დონეზე სამი სახის გასაჯაროება უნდა მოხდეს:
 - საზოგადოების ინფორმირება (ვებგვერდით),
 - კონტრაქტისწინა გასაჯაროება (მასალების მიწოდება ინვესტორებისათვის),
 - პერიოდული გასაჯაროება (მაგ., წლიური ანგარიშების).

SFRD – ძირითადი ფაქტები

ძირითადი ფაქტები	<ul style="list-style-type: none"> – რეგულაცია (EU) 2020/852 მდგრადი ინვესტირების ხელშემწყობი ჩარჩოს შემუშავების თაობაზე – გამოქვეყნდა ოფიციალური ბიულეტენში, 2020 წ. 22 ივნისს, ხოლო ძალაში 2020წ. 12 ივლისს შევიდა.
მიზნები	<p>ESG-ში ფოკუსირებულია გარემოს დაცვაზე, რათა:</p> <ul style="list-style-type: none"> – განსაზღვროს რა არის მწვანე და რა არა – მწვანედ წარმოჩენის რისკის შერბილება
ვის ეხება	<p>რეგულაციას სხვადასხვა მდგენელი გააჩნია - ერთ-ერთია SFDR-ში ცვლილებების შეტანა პროდუქტის დონეზე ინფორმაციის გასაჯაროების დამატებითი მოთხოვნის შემოღება (მაგ., საპენსიო პროდუქტებთან, დაზღვევაზე დაფუძნებულ საინვესტიციო პროდუქტებთან, UCITS-თან, PEPP-ებთან, ალტერნატიულ საინვესტიციო ფონდებთან და ა.შ. მიმართებით, რაც კორპორაციული დონის ინფორმაციის გასაჯაროებისაგან განსხვავდება). ეს მდგენელი ეხება SFDR-ს დაქვემდებარებულ ფირმებს, როგორცაა მაგ., აქტივებისა და ფონდების მენეჯერები, დაზღვევაზე დაფუძნებული საინვესტიციო პროდუქტების მზღვეველები და სხვა.</p>
რას აკეთებს იგი	<ul style="list-style-type: none"> – ჩარჩო, რომელიც ეკოლოგიურად მდგრადი (ანუ „მწვანედ“ მიჩნეული) ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის საერთო ევროპული სისტემის მზარდი განვითარების საშუალებას იძლევა – უდავოდ, ევროკავშირში მდგრადი ფინანსური პროდუქტების სავალდებულო ორიენტირად იქცევა (რომელიც მოიცავს მწვანე ობლიგაციების ნებისმიერ ევროპულ სტანდარტს, ან ფინანსური პროდუქტების ეკომარკირებას) – აქტივების/ფონდის მენეჯერებისაგან და SFDR-ით მოცული სხვა პირებისაგან, ძირითადად, გარემოსდაცვითი მახასიათებლების ან ამოცანების მქონე პროდუქტების თაობაზე დამატებითი ინფორმაციის გასაჯაროებას ითხოვს, ტაქსონომიასთან მათი შესაბამისობის გამჟღავნების მიზნით.
